<u>პროექტი</u>

საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულებით განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის (შემდგომ - კომისია) ამოცანები, უფლებამოსილება, შემადგენლობა, სტრუქტურა, საქმიანობის წესი, უფლებამოსილებათა განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები.
2. კომისიის საქმიანობის საფუძველია კონსტიტუციონალიზმის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონმდებლობა და ეს დებულება.
3. კომისია მოქმედებს კოლეგიალობის, გამჭვირვალობის, კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადებასა და განხილვაში საზოგადოების ფართო წრეების ჩართვის პრინციპების დაცვით.

მუხლი 2. კომისიის ამოცანები

1. კომისიამ კონსტიტუციონალიზმის საერთაშორისო და ქართული გამოცდილების გათვალისწინებით უნდა მოამზადოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომლითაც:

ა) გაიზრდება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კონსტიტუციური გარანტიები;

ბ) გაუმჯობესდება ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური გამიჯვნის, გაწონასწორების და ურთიერთქმედების მოდელი;

გ) დაიხვეწება დამოუკიდებელი ინსტიტუტების კონსტიტუციური სტატუსი და ფუნქციები;

დ) მოწესრიგდება ის ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით დღემდე დარჩა კონსტიტუციური რეგულირების მიღმა;

ე) დამკვიდრდება კონსტიტუციის გადასინჯვის გონივრული მოდელი, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს კონსტიტუციის სტაბილურობასაც და კონსტიტუციურ საკითხებზე პოლიტიკური კრიზისების თავიდან აცილებასაც;

ვ) აღმოიფხვრება კონსტიტუციის ტექსტის ხშირი ცვლილებებით გამოწვეული შეუსაბამობები და ტექნიკური ხარვეზები;

მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) საპარლამენტო ფრაქციებისა და პარლამენტართა იმ ჯგუფის მიერ პროპორციულობის პრინციპის დაცვით წარდგენილი პარლამენტის წევრები, რომლებიც არცერთ ფრაქციაში არ არიან გაერთიანებულნი - არაუმეტეს 20 წევრისა;

ბ) იმ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების თითო წარმომადგენელი, რომლებიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის მეშვეობით წარმოდგენილნი არ არიან პარლამენტში;

გ) იმ არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიის ერთი წარმომადგენელი, რომლის მიერ დასახელებულმა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 3%-ზე მეტის ხმები მიიღო;

დ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეები, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე;

ე) სამართლის, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფოს მართვის არაუმეტეს 20 ექსპერტი-სპეციალისტისა, მათ შორის, ამავე სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2. კომისიის პერსონალურ შემადგენლობას პარლამენტის თავმჯდოამრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

3. თუ კომისიის წევრთა როდენობა 10%-ზე მეტით შემცირდა, პარლამენტის თავმჯდომარე 2 კვირის ვადაში ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წარმომადგენლობითობის პრინციპის დაცვით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანდიდატებს კომისიაში დასანიშნად.

მუხლი 4. კომისიის უფლებამოსილება

კომისია უფლებამოსილია:

ა) მოამზადოს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი;

ბ) საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან გამოითხოვოს, ხოლო სხვა ორგანიზაციებს დაუკვეთოს, თავისი საქმიანობისათვის აუცილებელი ინფორმაცია, მასალები და დოკუმენტები;

გ) კონსტიტუციის პროექტის ცალკეული ნაწილების მომზადებისა და ექსპერტიზისათვის მოიწვიოს სპეციალისტები, მათ შორის, საერთაშორისო კონსულტანტები;

დ) კომისიის სხდომაზე მოისმინოს სამუშაო ჯგუფების საქმიანობის შუალედური შედეგები და ანგარიშები;

ე) კომისიის ან სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მოიწვიოს სახელმწიფო თანამდებობის პირები;

ვ) განსახილველ საკითხებზე გამართოს კონფერენციები, სემინარები, დებატები.

მუხლი 5. კომისიის სტრუქტურა

კომისიის თანამდებობის პირები არიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, ხოლო სტრუქტურული ერთეულებია - სამუშაო ჯგუფები, სარედაქციო საბჭო და კომისიის აპარატი.

მუხლი 6. კომისიის თავმჯდომარე

1. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს კომისიას სხვა პირებთან ურთიერთობებში ;

ბ) კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფების, სარედაქციო ჯგუფის და კომისიის აპარატის საქმიანობას;

გ) მოიწვევს და უძღვება კომისიისა და სარედაქციო საბჭოს სხდომებს;

დ) უზრუნველყოფს კომისიის გამართული საქმიანობისათვის აუცილებელი საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური საკითხების მოგვარებას შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ;

ე) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმსა და კომისიის სხვა დოკუმენტაციას;

ვ) ამტკიცებს კომისიის ბიუჯეტს და კომისიის აპარატის საშტატო განრიგს;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების დროებით შესრულებას ავალებს კომისიის რომელიმე წევრს.

მუხლი 7. კომისიის მდივანი

1. კომისიის მდივანს, კომისიის წევრთაგან, თავმჯდომარის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისია.

2. კომისიის მდივანი:

ა) ამზადებს კომისიის, სამუშაო ჯგუფებისა და სარედაქციო საბჭოს სხდომებს და უზრუნველყოფს ოქმების წარმოებას;

ბ) განაგებს კომისიის საქმისწარმოებას;

გ) კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს კომისიის აპარატის საშტატო განრიგს და ხელმძღვანელობს კომისიის აპარატს;

დ) კოორდინაციას უწევს მოწვეული ექსპერტების საქმიანობას;

ე) პასუხისმგებელია კონსტიტუციური კანონის პროექტის ტექსტის აუთენტურობაზე.

3. კომისიის თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილებების შესრულების შეუძლებლობის ან გადადგომის შემთხვევაში, მის მოვალეობას დროებით ასრულებს კომისიის მდივანი.

მუხლი 8. კომისიის სამუშაო ჯგუფი

1. კომისიის წევრთაგან იქმნება სამუშაო ჯგუფები.

2. კომისიის წევრი საკუთარი სურვილისამებრ წევრიანდება ერთ ან ორ სამუშაო ჯგუფში.

3. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისია.

4. კომისიის ძირითადი სამუშაო ჯგუფებია:

ა) კონსტიტუციის ზოგადი დებულებებისა და კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხთა;

ბ) პარლამენტის, პრეზიდენტის და მთავრობის საკითხთა;

გ) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ინსტიტუტის საკითხთა;

დ) დამოუკიდებელი კონსტიტუციური ინსტიტუტების საკითხთა;

ე) ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფების გარდა, კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია შექმნას დროებითი თემატური ჯგუფები კონკრეტული კომპლექსური საკითხების დასამუშავებლად.

მუხლი 9. კომისიის სარედაქციო საბჭო

1. სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები.

2. სარედაქციო საბჭო:

ა) ისმენს სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელების მოხსენებებს ჯგუფებში საკითხების განხილვის მიმდინარეობის შესახებ;

ბ) უზრუნველყოფს ჯგუფების საქმიანობის ზოგად კოორდინაციას;

გ) რედაქციულად ამზადებს კანონპროექტის საბოლოო ტექსტს და კომისიას წარუდგენს დასამტკიცებლად.

მუხლი 10. კომისიის აპარატი

1. კომისიის აპარატში მოწვეულ სპეციალისტებთან შრომით ხელშეკრულებებს კომისიის მდივნის წარდგინებით დებს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი.

2. კომისიის აპარატი:

ა) ადგენს კომისიის, სარედაქციო საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების სხდომების ოქმს;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მითითებით ამზადებს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს;

გ) კომისიის წევრებს აცნობებს კომისიის, სარედაქციო საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების სხდომის თარიღს, ადგილს, დროს და დღის წესრიგს სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა;

დ) უზრუნველყოფს კომისიის, მისი თავმჯდომარის ან მდივნის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ე) ასრულებს კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 11. კომისიის საქმიანობის წესი

1. კომისიის საქმიანობის ძირითადი ფორმებია კომისიის სხდომა, სამუშაო ჯგუფის სხდომა და სარედაქციო საბჭოს სხდომა.

2. კომისიის სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის მიერ საჭიროებისამებრ, მაგრამ 2 თვეში ერთხელ მაინც.

3. სარედაქციო საბჭოს სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის მიერ საჭიროებისამებრ.

4. სამუშაო ჯგუფის სხდომა მოიწვევა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ორჯერ მაინც.

5. კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადებასა და განხილვაში საზოგადოების ფართო წრეების ჩართვის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება კომისიის ვებგვერდი, რომელზედაც განთავსდება ინფორმაცია კომისიის, სამუშაო ჯგუფებისა და სარედაქციო საბჭოს სხდომების განრიგისა და დღის წესრიგის თაობაზე, სხდომების ოქმები, მომზადებული პროექტები, სპეციალისტთა ანალიტიკური წერილები და წინადადებები, პროექტების საჯარო განხილვების შედეგები.

6. კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვაში საზოგადოების ფართო წრეების ჩართვის უზრუნველყოფის მიზნით კომისიის წარმომადგენლები მართავენ შეხვედრებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

7. კომისიის, სამუშაო ჯგუფისა და სარედაქციო საბჭოს სხდომები უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება, შესაბამისად, კომისიის, სამუშაო ჯგუფის, სარედაქციო საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

8. კომისიის გადაწყვეტილება კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღების შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი , ხოლო დანარჩენ საკითხებზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

9. სამუშაო ჯგუფში გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ ჯგუფის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა.

10. დაუშვებელია კომისიის წევრის მიერ თავისი უფლებამოსილების სხვისთვის გადაცემა.

11. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმს - ჯგუფის ხელმძღვანელი, ხოლო სარედაქციო საბჭოს სხდომის ოქმს - კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

12. კომისიის წევრს უფლება აქვს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საკითხის ალტერნატიული წინადადების განხილვის მოთხოვნით დასაბუთებული წერილით მიმართოს სარედაქციო საბჭოს და შემდეგ კომისიას. წერილი უნდა წარედგინოს შესაბამის სხდომამდე არაუგვიანეს 24 საათისა. ალტერნატიულ წინადადებას კენჭი ეყრება სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი წინადადების კენჭისყრამდე.

მუხლი 12. კომისიის თავმჯდომარის მრჩეველთა საბჭო

1. კონსტიტუციური და ქვეყნის განვითარების სხვა სტრატეგიული საკითხების ჰარმონიზაციის მიზნით იქმნება კომისიის თავმჯდომარის მრჩეველთა საბჭო.

2. მრჩეველთა საბჭოს წევრებს მოიწვევს კომისიის თავმჯდომარე.

3. მრჩეველთა საბჭოს სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე 3 თვეში ერთხელ მაინც. მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებს კომისიის თავმჯდომარე მართავს საჭიროებისამებრ.

მუხლი 13. კომისიის საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. კომისიის საქმიანობისთვის საჭირო ფინანსური სახსრები გამოიყოფა პარლამენტის ბიუჯეტიდან.
2. კომისიის და მისი აპარატის საქმიანობას სამუშაო ფართით და ინვენტარით უზრუნველყოფს პარლამენტის აპარატი.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

კომისიის პირველ სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე ამ დებულების ამოქმედებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.